# დიდება ოქტომბერს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

7 ნოემბერი

ხუთშაბათი,

1963 წ.

№ 221 (2326)

გამოცემის მე-20 წელი.

ფასი 3 კაპ.

## პარტიის ხელმძღვანელობით

დღეს 7 ნოემბერია — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს, ყველა ქვეყნის პროლეტარების, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის უდიდესი დღესასწაული.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაამკვიდრა კაცობრიობის ისტორიაში, დასაბამი მისცა მშრომელთა პირველ სახელმწიფოს, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ საზოგადოებრივ წყობილებას.

46 წელი გავიდა დიადი საზოგადოებრივი გარდაქმნების, ჯერარნახული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური პროგრესის, უდიდეს გამარჯვებათა გზაზე. დღეს, ოქტომბრის რევოლუციის 46-ე წლისთავზე, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ფართო გზაზე გასული საბჭოთა ხალხები კანონიერად ამაყობენ თავიანთი მსოფლიო-ისტორიული მიღწევებით, თავიანთი დიადი სამშობლოთი, რომელიც ნიმუშის მიმცემ შუქურად ანთია მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებისათვის, ყველა მშრომელი ადამიანისათვის პროგრესისა და სოციალური განთავისუფლების, ბედნიერი მომავლის შექმნის გზაზე. ამ კანონიერი სიამაყის დოკუმენტური დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც მიიღო მშობლიური პარტიის XXII ყრილობამ, რომელმაც დასახა კონკრეტული, თავიანთი მნიშვნელობით გრანდიოზული გზები სანუკვარი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების ხორცშესასხმელად და რომელმაც საზეიმოდ გამოაცხადა, რომ დღევანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.

ყველა გამარჯვება საბჭოთა ხალხებმა მოიპოვეს ლენინის დიადი დროშის ქვეშ, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული, ნაცადი ხელმძღვანელობით, იმ პარტიისა, რომლის უმაღლესი მიზანია, ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომელიც ყველაფერს აკეთებს მშრომელი ადამიანის ბედნიერებისათვის, ნათელი მომავლის — კომუნიზმის შექმნისათვის.

დღეს 7 ნოემბერია — საბჭოთა ხალხების დიდი დღესასწაული! გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავს!

—★—

## ზეიმს მიეძღვნა

თელავში გამართულ მძლეოსანთა რაიონულ პირველობაზე დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ინჟინერმა თ. მეჭურჭლიშვილმა, რომელმაც ბირთვი ჰკრა 17 მ 4 სმ-ზე და შეასრულა ოსტატობა. მისი ეს მაჩვენებელი ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდია ვაჟთა შორის. თ. მეჭურჭლიშვილმა რეკორდი მიუძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 46-ე წლისთავს.




ნახ. ბ. იაშვილისა.

## სპორტული ნოემბერი

11 თვე გვაშორებს XVIII ოლიმპიურ თამაშებამდე, 11 თვე, რომელმაც საბოლოოდ უნდა გამოავლინოს ჩვენი ქვეყნის ის ნაკრები, ვისაც მიენდობა საბჭოთა სპორტის ღირსების დაცვა ტოკიოში.

საინტერესო ღონისძიებებითაა აღსავსე ნოემბერი. თუ წინა თვეში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა ძალები სცადეს ტოკიოს სპორტის საერთაშორისო კვირეულზე, ნოემბერში 100-მდე საბჭოთა სპორტსმენი კვლავ გაემგზავრება აზიაში — ამჯერად ინდონეზიაში, სადაც 10 ნოემბერს ჯაკარტაში გაიხსნება აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო სპორტული თამაშები (განეფო).

9 და 10 ნოემბერს მოსკოვში გაიმართება ევროპის ორი უძლიერესი გუნდის მატჩები წყალბურთში. საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ იუგოსლაველები. სამაგიეროდ, იუგოსლავიაში გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა ღია პირველობაზე, ნოემბრის პირველ ნახევარში, გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენები, თვის დასასრულს კი ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელები გაემგზავრებიან სტოკჰოლმში სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

წელს 50 წელი უსრულდება ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციას. ამ თარიღის აღსანიშნავად პარიზში 28-29 ნოემბერს მოეწყობა მოფარიკავეთა საერთაშორისო საიუბილეო ტურნირი, სადაც ჩვენი ქვეყნიდან ძალებს ცდიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გ. სვეშნიკოვი და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ი. რილსკი.

მოსკოვში, კიევში, ოდესაში, სოჭსა და ხარკოვში ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება მატჩები მსოფლიო პირველობაზე 100-უჯრიან შაშში, ერთმანეთის პირისპირ დადგებიან კიეველი გროსმაისტერი ი. კუპერმანი და სენეგალელი გროსმაისტერი ბაბა სი.

ნოემბერი საინტერესო იქნება ფეხბურთითაც. საკავშირო პირველობის გარდა ნოემბრის დასასრულს ლენინგრადის „დინამო“ საერთაშორისო მატჩებს გამართავს თურქეთში. მოსკოვის, კიევის, თბილისისა და მინსკის „დინამოს“ ნაკრები გაემგზავრება ბრაზილიაში, არგენტინასა და ურუგვაიში, ხოლო დონეცკის „შახტიორი“ — სირიასა და ლიბანში. ოდესის „ჩერნომორეცი“ ითამაშებს ტუნისის, ეთიოპიისა და სუდანის გუნდებთან.

# უცნაური პირამიდა

მიმდინარეობდა კიევის იატაკქვეშა პარტიული კომიტეტის საგანგებო სხდომა. ღრმად დაფიქრებული ოცამდე ბოლშევიკი ეძებდა გზას პარტიული ცენტრის სასწრაფო დავალების შესასრულებლად. დავალება კი მეტად სერიოზული იყო, მისი განხორციელება ბევრს შეუძლებლად მიაჩნდა. რევოლუცია ახლოვდება, — ნათქვამი იყო საიდუმლო ზეპირ დავალებაში, — ამჟამად უაღრესად საჭიროა დაპატიმრებული რევოლუციონერების გამოხსნა. თქვენთან, კიევის საპყრობილეში, იმყოფება თერთმეტი „ისკრელი“; გააკეთეთ ყველაფერი, რათა შედეგიანად დამთავრდეს მათი გაქცევა!

ოცი ბოლშევიკი გონების თვალს ავლებდა კიევის უზარმაზარ ციხეს, ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ საიდან და როგორ დაეხსნათ ამხანაგები. საკანთა სქელი კედლები, ფანჯრის მაჯის სიმსხო ჩარჩოები და, რაც მთავარია, ექვსი მეტრი სიმაღლის კედელი ციხის ირგვლივ, რომლის გარშემოც გუშაგები დააბოტებდნენ, — აი, რამდენი დაბრკოლება იყო გადასალახავი.

— ამხანაგო კორობკოვ, — მიმართა დუმილის შემდეგ თავმჯდომარემ ერთ-ერთ ბრგე ვაჟკაცს, — თქვენ მგონი ახლაც ვარჯიშობთ კრივში!

კითხვის მოულოდნელობამ დააბნია კორობკოვი.

— დიახ, ვვარჯიშობ და დარნიცელ რაზმელებსაც ვავარჯიშებ!

— ცურვა ხომ იცით?

— მეტი რა მიკეთებია ჩემს ახალგაზრდობაში!

— ძალიან კარგი! საპატიმროს კედელთან, რომელიც დნეპრს გადაჰყურებს, თქვენ მოგიხდებათ გარეთა გუშაგის მოხსნა! — თქვა კომიტეტის ხელმძღვანელმა და შემდეგ ყველას მიმართა კითხვით:

— დაპატიმრებულ „ისკრელთა“ შორის, როგორც მე მახსოვს, ამხანაგი „ალექსი“ შესანიშნავი აკრობატია, არა?

— ნამდვილად, — დაასწრო ყველას ერთ-ერთმა იატაკქვეშელმა, — ის რომ დნეპრის გადასახედზე ყირას გაჭიმავდა, მთელი მოსეირნენი შიშით ქვავდებოდნენ, კლდეზე არ გადაიჩეხოსო.

— მგონი ვიპოვე გამოსავალი! — წამოიძახა ხელმძღვანელმა და ამხანაგები ლამპასთან მიიხმო.

პარტიული კომიტეტი დილამდე არჩევდა და ყოველმხრივ წონიდა „ისკრელთა“ განთავისუფლების რთულ გეგმას.

გავიდა ერთი კვირა, ვიდრე დაპატიმრებულ „ისკრელებს“ გაქცევის გეგმას შეატყობინებდნენ. სწორედ კვირა დღეს ციხის უფროსმა ინება საკნების ჩამოვლა.

— რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვთ, ბატონებო! — გაისმა მისი ხმა საკანში.

ყველაზე წინ მუშა ბაუმანი წამოდგა.

— ერთი თხოვნა გვაქვს, ბატონო ციხის უფროსო!

— გისმენთ! — ასწია თავი უფროსმა და ულვაშები აათამაშა.

— მე და ჩემი ამხანაგები მიჩვეული ვიყავით ყოველდღიურ ვარჯიშს და გთხოვთ...

— სად ინებებთ ვარჯიშს, — გადაიხარხარა ციხის უფროსმა — იპოდრომზე, სპორტულ დარბაზში თუ სტადიონზე?

— დაგვდეთ პატივი და მოგვეცით უფლება, რომ საამისოდ გამოვიყენოთ ის ნახევარი საათი, ეზოში პატიმრების გასეირნებას რომ ეთმობა! — მიმართა ისევ ბაუმანმა.

ციხის უფროსმა კარგა ხანს იცინა, შემდეგ მხლებელს მიუბრუნდა და უთხრა:

— დართეთ ნება, დე იჯამბაზონ; ჩამოხრჩობამდე გულს ნუ დაუწყვეტთ!

შუადღეს პატიმრები სასეირნოდ გამოიყვანეს ციხის ეზოში. ისინი წრიულად დამწკრივდნენ და ნელი ნაბიჯით დაიწყეს მოძრაობა. „ისკრელები“ გამოეყვნენ მათ და შუა ეზოში სავარჯიშოდ მოეწყვნენ.

— მაქსიმ მაქსიმოვიჩ! — უჩურჩულა ბაუმანმა ლიტვინოვს, — ვიცი არასოდეს აღგიმართავთ აკრობატული პირამიდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, სხვა გამოსავალი არაა, თქვენ, სამ ამხანაგთან ერთად, დაბლა დადგებით, სამნი მხრებზე შეგადგებით, სულ ზემოთ კი ამხანაგი „ალექსი“ ხელყირას ამართავს.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ბოლოს ისე მიეჩვია თვალი ამ ერთფეროვან ვარჯიშს, რომ ციხის ადმინისტრაციამ თითქმის შეწყვიტა ყურადღება მოვარჯიშეთა მიმართ;

დადგა 1902 წლის 18 აგვისტო. ისევ გამოვიდნენ „ისკრელები“ სავარჯიშოდ. თვალმიჩვეულმა გუშაგებმა ზედაც არ შეხედეს მათ, იქვე ჩამოსხდნენ, შაშხანები მკერდზე მიიყუდეს და დინჯად შეუდგნენ წეკოს შეხვევას.

აი, აღიმართა პირამიდა ზედ კედლის ძირში. ბაუმანი და ლიტვინოვი ხუთ ამხანაგთან ერთად პირამიდის პირველ საფეხურზე დადგნენ. ოთხი ამხანაგი მათ მხრებზე მოექცა.. „ალექსიმ“ კი ყირის ნაცვლად უბიდან სასწრაფოდ ამოიღო გარედან საგანგებოდ [illegible] თოკი, ერთი ბოლო კედელს იქით გადააგდო, მეორე კი აქეთ დატოვა. მეზღვაურებივით სწრაფად აცოცდნენ „ისკრელები“ თოკზე და ერთმანეთის მიყოლებით გადაეშვნენ კედელს იქით; იქ მათ გოლიათი კორობკოვი და მენავე ელოდათ. იქვე ეგდო ნოკაუტირებული გუშაგი.

დნეპრის მეორე ნაპირიდან კი ლიდხანს მოისმოდა გაავთრებული ციხის უფროსის ღრიალი: „...ჯამბაზები!... ჯამბაზები“!

ა. ციბაძე





## როცა საქმეს გულშემატკივარი ჰყავს

გალში სპორტის ბევრი ვეტერანია. მრავალმა მათგანმა დიდი ხანია მიატოვა იგი ასაკის გამო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ თმობს მას თმაჭაღარა ქ. ეზუგბაია, რომელსაც სპორტისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

... აი ახლაც ახალგაზრდული ენერგიით, მონდომებით, საქმის დიდი სიყვარულით და ცოდნით ხელმძღვანელობს იგი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს, ემსახურება ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატების საქმეს, რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. მისი დამსახურებაა ის, რომ დღეს რაიონული საბჭო აფხაზეთში ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაცია გახდა.

წლის დამთავრებამდე ცოტაღა დარჩა. ქ. ეზუგბაია კი სიამაყით გვიჩვენებს წლის შედეგებს. ჩვენს წინაა ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა საგრძნობლად არის გადაჭარბებული გეგმის პუნქტები.

— წელს წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნე ფეხბურთელებმა აფხაზეთის პირველობაზე. ისინი ჩემპიონები გახდნენ II ჯგუფის მოასპარეზეთა შორის, — გვეუბნებიან რაიონულ საბჭოში.

ფეხბურთელებს არც ხელბურთელები, ფრენბურთელები და მაგიდის ჩოგბურთელები ჩამორჩნენ. ისინი საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ. ცხენოსანთა სახელი კი ხომ დიდი ხანია ცნობილია. აი კედელზე გაკრული ფოტოსტენდიც, რომელიც გვაცნობს რაიონის გამოჩენილ სპორტსმენებს... ამხედრებული ჭაბუკი ბ. აბლოთია! მან საბჭოთა კავშირის პირველობაზე ცხენოსნობაში III საპრიზო ადგილი დაიკავა. აქვეა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეების რ. გუგუჩიასა და ო. ზუხბაიას სურათები...

გალის საწარმოო სამმართველოში 32 კოლმეურნეობა და 7 საბჭოთა მეურნეობაა. ახლა სოფლის სპორტსმენთა რიცხვი 5000-ზე მეტია.

წელს მეჩაიე სპორტსმენებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს. საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ჩაის პლანტაციებში მუშაობის შემდეგ თითქმის ყოველი სოფელი გამოდიოდა სპორტული მოედნების მშენებლობებზე. ისინი თავიანთი ხელით აკეთებდნენ ყველაფერს, შემდეგ კი საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდნენ სპორტული ბაზის მშენებლობის დამთავრებას.

ნაყოფიერ საწვრთნელ მუშაობას ეწევიან მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში: გ. ჭყოიძე, ბ. შონია, პ. ბერაია, გ. სტრელკოვი, ე. ფილფანი, ვ. ყალიჩავა და სხვები. 39 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა — 33 რთული და მარტივი ტიპის სპორტული ბაზა, დანარჩენში კი ჩქარა დამთავრდება ახალი ბაზების მშენებლობა! — აი გალელ სპორტსმენთა წარმატების საწინდარი.

ზ. ჩიქვაიძე

• • •

**სურათებზე:** მარჯვნივ — ო. ზუხბაია ვარჯიშის დროს. მარცხნივ — ცხენოსნობაში გამარჯვებული ნ. ოვჩინიკოვი იღებს ჯილდოს.



გურჯაანის რაიონის ველისციხელი კოლმეურნე მ. ცისკარიშვილი ნაყოფიერ შრომასთან ერთად აქტიურად იმაღლებს სპორტულ ოსტატობასაც. იგი კოლმეურნეობის საუკეთესო შუბის მტყორცნელია.

**სურათზე:** მ. ცისკარიშვილი ვარჯიშის დაწყების წინ.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

## „ნორჩი ლენინელის“ თასზე

წულუკიძის სტადიონზე დამთავრდა სამტრედიის სასოფლო-საწარმოო ზონის პირველობა მძლეოსნურ ოთხჭიდში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე. საშუალო ასაკის მოსწავლეთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს წულუკიძის მეორე სკოლის სპორტსმენებმა, უმცროს ასაკში — სკოლა-ინტერნატის პიონერებმა.

პირად ჩათვლაში გამარჯვებულები გამოვიდნენ: საშუალო ასაკის გოგონათა შორის — ც. ეძგვერაძე (წულუკიძის მეორე სკოლა), ჭაბუკებში — მისი თანაგუნდელი გ. ჯოშკარიანი. უმცროს ასაკში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდათ მესამე სკოლის მოსწავლეებს ზ. ჩარგეიშვილსა და მ. შაგლაყაძეს.

ტ. ჯაფარიძე

## სამ ასაკში

გაიმართა ოჩამჩირის მოსწავლემძლეოსანთა საქალაქო პირველობა. გამარჯვებისათვის იბრძოდა 7 საშუალო და რვაწლიანი სკოლის 260-ზე მეტი სპორტსმენი. პირველობა ტარდებოდა სამ ასაკობრივ ჯგუფში. უმცროს და საშუალო ასაკში გაიმართა პიონერული ოთხჭიდი (რბენა 60 მ, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, ბურთის სროლა). უმცროსი ასაკის გოგონათა შორის უძლიერესი იყო შევჩენკო (მეორე სკოლა), ჭაბუკთა შორის — თარბა (მესამე სკოლა), საშუალო ასაკში პირველობა დაისაკუთრეს: გოგონებში — შონიამ (მეორე სკოლა), ჭაბუკებში — ზაქარაიამ (პირველი სკოლა).

უფროსი ასაკის მძლეოსანთა შეჯიბრების პროგრამაში იყო ათი სახეობა. აქ საერთო გუნდური პირველობა წილად ხვდათ 1-ლი ქართული სკოლის სპორტსმენებს.

ვ. დოხნაძე

## კოლექტივი იქრებს ძალებს

სპორტული საქმიანობა ახლა უკეთ გამოიყურება გორის რაიონის სოფელ ზერტის საშუალო სკოლაში, ვიდრე ეს იყო ამ ცოტახნის წინათ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული მუშაობის ამაღლებას სერიოზულად მოეკიდა როგორც დირექცია, ისე ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მაზანაშვილი.

სკოლაში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, ქართული ჭიდაობისა და ახლახან ჩამოყალიბებული ხელბურთის სექციები, სადაც მრავალი მოსწავლეა გაერთიანებული.

სკოლაში ხშირად იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. თავისი მასობრიობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა საskolo გუნდური პირველობა ფრენბურთსა და კალათბურთში, სადაც 12-12 ჭაბუკთა და გოგონათა გუნდი იღებდა მონაწილეობას.

დაუმარცხებლად გამოვიდნენ შეჯიბრებაზე XI კლასის ფრენბურთელ ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები, რომლებმაც სკოლის ჩემპიონობა მოიპოვეს.

კალათბურთშიც XI-კლასელმა ჭაბუკებმა ისახელეს თავი. ისინი პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ. გოგონათა შორის კი ყველას აჯობეს IX-კლასელებმა.

სკოლის ნორჩი სპორტსმენები ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეჯიბრებებს მეზობელი სოფლის სკოლების კოლექტივებთან, რითაც სპორტული მომზადების დონეს იმაღლებენ. ასეთი შეჯიბრებები ჩაატარეს მათ ახლახან მეჯვრისხევში და ემზადებიან ზერშუეთის საშუალო სკოლის სპორტსმენებთან შესახვედრად.

ი. თევდორაშვილი



მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც მოხვედრილი არიან პირველ ათეულში.



**„მესხეთი“ (ახალციხე)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 3:1. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

მასპინძლებმა პირველი წარმატება მოიპოვეს ჯერ კიდევ დასაწყისში და ამ გოლმა საგრძნობი როლი ითამაშა მთელი მატჩის მსვლელობაზე. „მესხეთი“ მოქმედებდა დამაჯერებლად, კარგი ურთიერთმოქმედებით და გამარჯვებაც მას დარჩა—3:1. უნდა აღინიშნოს ტყიბულელთა გუნდის კაპიტანის ბოჭორიშვილისა და ვანაჩის უდისციპლინო საქციელი. ისინი მოურიდებლად ეკამათებოდნენ მსაჯს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

**„ოდიში“ (ზუგდიდი)-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) —1:4. მსაჯი ჯ. უშვერიძე (თბილისი).**

პირველი 20 წუთი სტუდენტებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მინდორზე, რამაც მათ მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა: „ოდიშის“ კარი ორჯერ იქნა აღებული. ზუგდიდელები რამდენადმე გააქტიურდნენ ტაიმის დასასრულს და ერთი საპასუხო გოლიც გაიტანეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ინიციატივამ კვლავ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა, რომლებმაც შეძლეს დაემარცხებინათ მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:1. მასპინძლებმა წააგეს მატჩი, მაგრამ გარდა ამისა მათ „თავი გამოიჩინეს“ იმითაც, რომ ერთ-ერთმა მაყურებელმა მატჩის დამთავრების შემდეგ შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. სტადიონის დირექციამ დროზე უნდა მიიღოს ზომები ამ უმსგავსოების მიმართ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში „ოდიშს“ აუკრძალავენ საკუთარ მინდორზე თამაშს.

**„გურია“ (ლანჩხუთი) -„ცისკარი“ (ცხაკაია) — 1:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).**

ბრძოლას დაძაბული ხასიათი ჰქონდა დასაწყისიდანვე. მოწინააღმდეგეებმა შესვენებამდე თითო ბურთი გაიტანეს ერთმანეთის კარში და ამ ანგარიშს დასჯერდნენ საბოლოოდ.

**„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„იმერეთი“ (ქუთაისი) — 0:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

ორივე გუნდს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, მაგრამ თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმების წყალობით არც ერთი კარის აღება არ მოხერხდა. მეორე ტაიმში სამტრედიელთა მეკარემ დაუშვა შეცდომა, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული ქუთაისელთა მიერ — 1:0. „ლოკომოტივს“ მიეცა საპასუხო ბურთის გატანის რეალური შანსი მას შემდეგ, რაც ქუთაისელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. მაგრამ პენალტი არ იქნა რეალიზებული და სამტრედიელებმა დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი—0:1.

**„სინათლე“ (თბილისი)-„მერცხალი“ (მახარაძე)—1:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

ეს იყო ორი ღირსეული მოწინააღმდეგის საინტერესო შეხვედრა. მეტოქეები თამაშობდნენ მაღალ ტემპში, დიდი მონდომებით. თბილისელთა ერთ-ერთი იერიშისას მახარაძელთა მეკარემ ჟორდანიამ უიმედო მდგომარეობაში ხელით დაიჭირა მოწინააღმდეგე თავდამსხმელი, რის გამოც მის კარში დაინიშნა პენალტი. მაგრამ მეკარემ გამოასწორა თავისი შეცდომა და მოიგერია ბურთი. მაინც პირველი გოლის გატანა შეძლეს თბილისელებმა (ივანოვი) — 1:0. სტუმრებმა განავითარეს საპასუხო იერიშები და მალე ვახრამოვმა ძნელი მდგომარეობიდან გაქვითა გოლი — 1:1. ეს ანგარიში არ შეცვლილა მატჩის ბოლომდე.

მოგვყავს მატჩების ანგარიშები გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან ცხრილის ქვედა ნახევარში: „დილა“ (გორი)-„მეშახტე“ (ტყვარჩელი)—3:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„განთიადი“ (ბორჯომი)—0:0, „განთიადი“ (ბათუმი) - „ისანი“ (თბილისი)—3:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა)-„სპარტაკი“ (ცხინვალი) — 5:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი)-„კახეთი“ (გურჯაანი) — 5:1, „მეტალურგი“ (რუსთავი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—2:2, „მექანიზატორი“ (ფოთი)-„შუქურა“ (ჩაქვი)—1:1. სოხუმის „დინამო“ არ გამოცხადდა სათამაშოდ თელავში, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება.

# ცვლილებანი კალენდარში

სულ ახლახან გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ახალი კალენდარი „ა“ კლასის გუნდებისათვის, მაგრამ. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ კვლავ მოახდინა ცვლილებები კალენდარში.

„ლოკომოტივის“ მატჩი როსტოვის არმიელებთან, აგრეთვე „სპარტაკი“-„კაირატი“, „არარატი“-„ტორპედო“ (ქუთაისი) გადატანილია **15 ნოემბრისათვის.** „დინამო“ (მინსკი)-„დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) ითამაშებენ **16 ნოემბერს. 18 ნოემბერს** ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკი“ და „არარატი“, **19 ნოემბერს** — „ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (მინსკი), „ლოკომოტივი“-„დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (კიევი).

**22 ნოემბრისათვის** გადატანილია მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა. მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „დინამო“ (მინსკი) ითამაშებენ ადრე — 12 ნოემბერს.

**საქართველოს სსრ 1963 წლის პირველობის საფინალო გათამაშების ცხრილები**

მდგომარეობა 4 ნოემბრისათვის

**I-X ადგილებისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ თბილისი | 30 | 18 | 5 | 7 | 60—39 | 41 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 30 | 16 | 8 | 6 | 58—36 | 40 |
| „გურია“ ლანჩხუთი | 29 | 16 | 6 | 7 | 51—28 | 38 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 28 | 17 | 4 | 7 | 58—35 | 38 |
| „მერცხალი“ მახარაძე | 30 | 12 | 13 | 5 | 49—25 | 37 |
| „იმერეთი“ ქუთაისი | 25 | 16 | 4 | 5 | 53—18 | 36 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 27 | 12 | 12 | 3 | 47—24 | 36 |
| „ცისკარი“ ცხაკაია | 30 | 12 | 12 | 6 | 58—38 | 36 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 29 | 15 | 5 | 9 | 60—35 | 35 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 29 | 13 | 6 | 10 | 53—39 | 32 |

**XI-XXVIII ადგილებისათვის**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ გორი | 28 | 11 | 12 | 5 | 36—28 | 34 |
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 27 | 12 | 7 | 8 | 36—29 | 31 |
| „შუქურა“ ჩაქვი | 28 | 12 | 7 | 9 | 38—36 | 31 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 28 | 11 | 6 | 11 | 47—39 | 28 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 27 | 11 | 6 | 10 | 38—32 | 28 |
| „შახტიორი“ ტყვარჩელი | 28 | 8 | 12 | 8 | 42—40 | 28 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 28 | 10 | 8 | 10 | 47—49 | 28 |
| „განთიადი“ ბათუმი | 27 | 11 | 6 | 10 | 33—36 | 28 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 29 | 7 | 12 | 10 | 24—34 | 26 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 28 | 8 | 6 | 14 | 46—63 | 22 |
| „წინსვლა“ წულუკიძე | 26 | 5 | 11 | 10 | 28—41 | 21 |
| „ისანი“ თბილისი | 28 | 7 | 7 | 14 | 22—44 | 21 |
| „სპარტაკი“ ცხინვალი | 28 | 5 | 9 | 14 | 40—67 | 19 |
| „დინამო“ სოხუმი | 28 | 4 | 10 | 14 | 19—37 | 18 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 27 | 4 | 9 | 14 | 35—59 | 17 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 28 | 4 | 8 | 16 | 32—56 | 16 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 28 | 3 | 5 | 20 | 29—77 | 11 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 28 | 1 | 9 | 18 | 19—66 | 11 |

# კვლავ მწვანე მინდორზე

...ასე იყო ოდესღაც, თითქმის სამი ათეული წლის წინ. თბილისისა და კიევის გუნდები მინდორზე გამოჰყავდათ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ფეხბურთელებს — ბ. პაიჭაძესა და კ. შეგოცკის.

ასე იყო გუშინაც. ამ ორი ქალაქის გუნდები, ამჯერად უკვე ვეტერანები, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამოიყვანეს სწორედ ბ. პაიჭაძემ და კ. შეგოცკიმ.

აი გუნდების შემადგენლობა: **თბილისი** — პირაევი, სარჯველაძე, გოგლიძე, გაგუა, მახარაძე, ელოშვილი, გაგნიძე, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ზაზროშვილი, ს. ჯეჯელავა. **კიევი** — ლემეშკო, კაშლიკი, გოლუბევი, პოპოვიჩი, ბონდარენკო, ბელკოვი, გონჩარენკო, სუხარევი, კოტლიარი, შეგოცკი, ვინკოვატოვი. მეორე ტაიმში ორივე გუნდში მოხდა ცვლილებანი. კერძოდ, მასპინძელთა რიგებში გამოჩნდნენ ანთაძე, მკუასელი, კუბლაშვილი, კინწურაშვილი, გარიშვილი, ა. კოტრიკაძე.

მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა ზაზროშვილმა. შესვენების შემდეგ მკუასელისა და ზაზროშვილის კომბინაცია დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი ლამაზი გოლით — 2:0.

კიეველებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და ხანგრძლივი იერიშის შემდეგ ვინკოვატოვმა გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:2. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. 34-ე წუთზე გაგნიძემ კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში და გამარჯვება დარჩათ თბილისელ ვეტერანებს — 3:1.

# რომის წინ

ახლოვდება მეორე, გადამწყვეტი მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ მატჩამდე საბჭოთა ფეხბურთელები საწვრთნელი მატჩის ჩასატარებლად გაემგზავრნენ ქალაქ ტულუზაში ადგილობრივ გუნდთან, რომელიც ამჟამად პირველ ადგილზეა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში.

ტულუზაში ჩავიდნენ ფეხბურთელები: იაშინი, ურუშაძე, გლოტოვი, შესტერნევი, შუსტიკოვი, კრუტიკოვი, ვორონინი, ლოგოფეტი, კოროლენკოვი, მეტრეველი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, მალაფეევი, ჰუსაინოვი, მესხი.

ნაკრების დანარჩენი წევრები დღეს ჩავლენ უშუალოდ რომში.

მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა 1952 წელში განცდილმა. ამ წელს, ხომ მისმა ვაჟმა დავით ციმაკურიძემ ბევრი წევრის სახელი ჰქუხს არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

## სერიოზული ზრახვებით

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცხოველებით ემზადებიან ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. სპორტის მესვეურებმა უკვე შეადგინეს საწვრთნელო შეკრების მთლიანი პროგრამა, რომელიც გულისხმობს ამერიკის ნაკრები გუნდის ყოველმხრივ მომზადებას ამ დიდი ბრძოლებისათვის.

კალიფორნიაში, სპეციალურ საზამთრო ბაზაზე მიავლინეს თითქმის ყველა წამყვანი სპეციალისტი, ისინი ვინც აქამდე ჩამოშორებულნი იყვნენ სპორტულ საქმიანობას. ახლადმოსულებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას წარუდგინეს ოლიმპიური გუნდის მზადების პროექტი, რომელიც ნახევარ მილიონ დოლარს მოიცავს.

ამერიკული გაზეთების კორესპონდენტების განცხადებით შტატებს სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი დაიბრუნონ პრიორიტეტი ზამთრის სახეობებში და მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე სიურპრიზი შესთავაზონ მთავარ ფავორიტებს — საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის სპორტსმენებს.



ფოტო ს. ფარულავასი.

# ოცნება... სტადიონზე

ფელეტონი

✦

ერთი თვე ვემზადებოდი ფეხბურთის იმ მატჩზე დასასწრებად, რომელზედაც ქვემოთ მოგითხრობთ. ბილეთი შევიძინე და მეც თავს არხეინად ვგრძნობდი.

წინა დღით შებინდებისას ნამდვილი გულშემატკივარი, მეზობელი ექიმი ვალიკო ორმოცაძე შემომხვდა:

— გამარჯობა, კაკო!

— იცოცხლე.

— რა ბილეთი გაქვს? — მკითხა.

— ჩვეულებრივი.

— ჩემს ბილეთს მაინც ვერ აჯობებს! აბა, მაჩვენე, — თქვა და ხელი გამომიწოდა.

მეც ამოვიღე ბილეთი და მივეცი.

ბევრი ატრიალა ხელში და უცებ ჯიბეში ჩაიდო:

— შენ კიდევ იშოვი, ეს მე დამითმე! — თქვა და წასვლა დააპირა.

— არავითარ შემთხვევაში! — წამოვიძახე და ჯიბეს ვეცი.

— კარგი, ჰო, წაიღე, ვიცი არ გაიმეტებ! — მითხრა მან, ბილეთი ამოიღო ჯიბიდან და მომცა.

მეც ბილეთი ჯიბეში ჩავიდე და ასე დავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს შაბათი იყო. სამსახური ადრე გათავდა და 6 საათამდე სად არ ვიხეტიალე.

მოაღწია სანატრელმა დრომ. ხალხით გაიჭედა სტადიონის მისასვლელები. არხეინად გავუდექი გზას. „გადავლახე“ ერთი წინააღმდეგობა, მეორე და მესამეს რომ მივაღწიე...

— ბილეთი მოქალაქევ! — მომაძახა მილიციელმა.

მეც გაშლილი მივაწოდე. მივაწოდე და...

— რა არის ეს? რეცეპტით დადიხართ სტადიონზე?!

— ნუთუ შემეცვალა?!

— მოქალაქევ! — დამიბღვირა მილიციელმა.

გამოვართვი „ბილეთი“ და რას ვხედავ: ხელში მართლაც ბილეთის მსგავსი — ხაზებიანი რეცეპტი არ მიჭირავს?

— შეაგდეთ, ჩქარა! — გასცეს განკარგულება.

გამქაჩეს დაუყოვნებლივ და მანქანაში მიკრეს თავი..

— ძვირფასო მილიციელებო, — ვუხსნი ადამიანურად, — თუ მე ეს შეგნებულად...

— ლაპარაკი! — ჩამაკმენდინეს ხმა.

— ის მაინც მითხარით, სად მიგყავართ?

— დილომში...

— აჰ, დილომში რა მინდა, იქნებ ტელევიზორში მაინც მოვასწრო ნახვა, რას ამბობთ! — ვიყვირე მე.

ერთი მილიციელთაგანი ლმობიერი გამოდგა. შევიდა ჩემს მდგომარეობაში, მიმავალი მანქანიდან ჩამომაგდო და მომაძახა:

— არ უნდა დახედო რითი მოდიხარ სტადიონზე?

რაღა იმის პასუხის თავი მქონდა, რაც ძალი და ღონე მქონდა მოვუსვი.

გაოფლილ-გათხილი მივედი შინ. სადარბაზოში ვალიკოს მეუღლე თალიკო შემომხვდა:

— ბატონო კაკო, რაშია საქმე, ამ დროს აქ რა გინდათ?

— ეგ თქვენს ქმარს ჰკითხეთ! — მივაძახე გაბრაზებულმა და კიბეები ავირბინე. მოულოდნელად დავრეკე ზარი. კარი ცოლმა გამიღო:

— ვაიმე, მომიკვდეს თავი, რა ამბავია, ავად ხომ არა ხარ? რა შეგემთხვა? ხმა ამოიღე, კაცო, — ხეტყვასავით დამაყარა.

ოთახში. ტელევიზორიდან უკვე დაწყებული მატჩის ტრანსლაცია მოისმოდა.

— ოჰ, ვალიკო ორმოცაძევ! — ვიბრაგუნებ მკერდზე ხელს და ვიძახი. — ეგ არის შენი ვაჟკაცობა?!

— ხომ არ მოგატყუე, კაცო! — მიხვდა მეუღლე ყველაფერს.

ასე ნარბენმა, გულამოვარდნილმა ვნახე დიდი ფეხბურთი.

ღამით ვალიკო მოვიდა ჩემთან. იცინოდა, არ გაბრაზდეო, — მეუბნებოდა და როცა ყველაფერი ვუამბე, საყვედურით წამოიძახა:

— რა გვარია ის მილიციელი?

— ვინ მილიციელი..

— ვინც დილომამდე გამოგიშვა მანქანიდან... რა უფლება ჰქონდა! თუ არ მოვახსნევინო კაცი არ ვიყო! — წამოიძახა მან და ვინაიდან შემატყო, რომ ძალზე გაბრაზებული ვიყავი, დროზე გამშორდა.

თქვენ რას იტყვით, ძვირფასო მკითხველებო! ვითომ ამასაც ხუმრობა ჰქვია?!

ა. გელათელი.

## ნოქრები

### აჯანყებით იმუქრებიან

სულ ახლახან საფრანგეთის რადიომ ყოველ ორშაბათობით, ღამის ორ საათზე დაიწყო სპორტული ინფორმაციის გადმოცემა, სადაც ასახულია შაბათისა და კვირის მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენების მიმდინარეობა. აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფეხბურთს. სპორტული ინფორმაციის გვიან ღამით გადმოცემაში ბრალი მიუძღვით ნოქრებს, რომლებიც კოპასა და ფონტენის თაყვანისმცემლები არიან. ისინი მუშაობას ამთავრებენ შუაღამისას, და ვერ ესწრებიან თამაშებს. ამიტომ მიმართეს რადიოს, პროგრამაში შეეტანათ ღამის სპორტული გადაცემა. რადიოკომპანიამ უარი თქვა ამ თხოვნაზე, მაშინ ნოქრები მათ დაემუქრნენ გაფიცვის მოწყობით. ამის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობა დანებდა.

რედაქტორი ი. უგულავა.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00818